ჩარჩო შეთანხმება ერთობლივი საქმინობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა

და

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრს შორის

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი,

ვითვალისწინებთ რა, ხელისმომწერი მხარეები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, და რომ ხელშეკრულების მხარეებმა ნებაყოფლობით გამოთქვეს სურვილი, რათა ითანამშრომლონ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სფეროებში,
ერთის მხრივ

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, (შემდგომში უნივერსიტეტი), წარმოდგენილი მისი რექტორის ერმილე მესხიას მიერ

და მეორეს მხრივ

სსიპ "გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი" (შემდგომში "ცენტრი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ დიდებულიძის მიერ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებთან დაკავშირებული ყველა მიმართულებით ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგში;

მუხლი 2

მხარეები თანხმდებიან რომ ერთობლივად შეიმუშავებენ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგში;

მუხლი 3

ცენტრი მზადყოფნას აცხადებს ხელი შეუწყოს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე) შემუშავებასა და წარმართვას.

მუხლი 4

მხარეები თანხმდებიან, რომ უზრუნველყონ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულების სტუდენტების პრაქტიკის ორგანიზება ცენტრის ბაზაზე;

მუხლი 5

მხარეები ადასტურებენ, რომ იზრუნებენ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებისათვის;

მუხლი 6

მხარეები თანხმდებიან, რომ ორივე მათგანის ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო ფონდი მოემსახურება ორივე მხარის თანამშრომლებს და სტუდენტებს.

მუხლი 7

ხელშეკრულება ძალაში შესულია მისი ხელმოწერისთანავე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხუთი წლის განმავლობაში. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება გახანგრძლივდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულებაში ცვლილების ან დანამატის შეტანის სურვილის შემთხვევაში, მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე;

მუხლი 8

ხელშეკრულება ადგენს მხარეთა ძირითად შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირობები და ვალდებულებები მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ამ შეთანხმებით აღიარებულ პრინციპებს და ურთიერთვალდებულებებს.

მუხლი 9

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელმოწერილია მხარეთა მიერ და ინახება მხარეებთან. ცვლილება ან დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის დადგენილი წესით.

თარიღი: 07 აგვისტო, 2012 წელი

მხარეთა ხელმოწერები

სსიპ "გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი" დირექტორი მარიამ დიდებულიძე	ქ. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი რექტორი ერმილე მესხია